

2018 წლის 28 თებერვალი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. #33

სხდომის დაწყების დრო: 18:30

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, გიორგი თევზაძე, ტარიელ კაკაბაძე, ციცილო ცხვედიანი, დათუნა მოდებაძე, მარიამ კუბლაშვილი

დღის წესრიგი:

1. ადვოკატთა ასოციაციის რეგიონული კომიტეტების წევრების დამტკიცება;
2. უახლოეს წარსულში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებულ (რეპრესირებულ) ადვოკატთა რეაბილიტაციის კომისიის შემადგენლობის და კომისიის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება;
3. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის, მე-7 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის ეფექტიანად ამოქმედების მიზნით, მორიგების განხორციელების წესის და სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, აღმასრულებელი მდივნის მიერ შემუშავებული წინადადებების პროექტის წარმოდგენა;
4. 2018 წლის ადვოკატთა ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი;
5. ირაკლი ყანდაშვილის ინიციატივა: საგანმანათლებლო საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
6. სხვადასხვა მიმდინარე საკითხები

## საკითხი #1

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მიმდინარე წლის 26 თებერვალს რეგიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა წარმოადგინეს რეკომენდაციები კომიტეტების წევრობის მსურველთა შესახებ.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ რეკომენდაციებს. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

ღია კენჭისყრაზე დადგა საკითხი ასოციაციის რეგიონული კომიტეტების წევრების დამტკიცების თაობაზე სხდომაზე წარმოდგენილი სახით. ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 8, წინააღმდეგი - 0), ერთხმად იქნა მიღებული

**გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის რეგიონული კომიტეტების შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი #1) ;

## საკითხი #2

თავმჯდომარემ წარადგინა მე-2 საკითხი. სხდომას ესწრებოდა უახლოეს წარსულში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებულ (რეპრესირებულ) ადვოკატთა რეაბილიტაციის კომისიის თავმჯდომარე - თამაზ ჯალიაშვილი, რომელმაც წევრებს გააცნო კომისიის დებულების ცვლილებების პროექტი.

წევრებმა დეტალურად განიხილეს წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი. გაიმართა დისკუსია. ცვლილება შეეხო წარმოდგენილი დებულების

ა) მე-2 მუხლის, 2.2. პუნქტს, რომლის ფორმულირება განისაზღვრა შემდეგნაირად: „კომისიას შეუძლია განიხილოს ასევე, საქართველოს პარლამენტის 05.12.2012 წლის #76-1ს დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად ან პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად მიჩნეულ იმ მსჯავრდებულთა საქმეები, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით არ გამოუყენებიათ საქმის გადასინჯვის უფლება სასამართლოსადმი მიმართვის გზით“.

ბ) მე-4 მუხლის, 4.2 პუნქტს, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მოადგილე, რომელსაც ირჩევს და ათავისუფლებს აღმასრულებელი საბჭო“.

თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი უახლოეს წარსულში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებულ (რეპრესირებულ) ადვოკატთა რეაბილიტაციის კომისიის დებულების ცვლილებების დამტკიცების თაობაზე სხდომაზე დასახელებული ცვლილებების გათვალისწინებით. ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე-8, წინააღმდეგი -0), ერთხმად იქნა მიღებული

**გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს უახლოეს წარსულში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებულ (რეპრესირებულ) ადვოკატთა რეაბილიტაციის კომისიის დებულების ცვლილებები სხდომაზე დასახელებული შესწორებების გათვალისწინებით (დანართი #2).

აღნიშნული კომისიის თავმჯდომარემ - თამაზ ჯალიაშვილმა წევრებს გააცნო კომისიის წევრობის კანდიდატთა სია: **დავით ღიბრაძე, ლარისა ლიპარტელიანი, ბესიკ სისვაძე, მაია ბაქრაძე, ამირან გიგუაშვილი და დიმიტრი ხაჩიძე.** კომისიის თავმჯდომარემ კომისიის მოადგილის პოზიციაზე ასევე წარმოადგინა **ქ-ნი მაია ბაქრაძის** კანდიდატურა. წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია დასახელებული კანდიდატების პროფესიული საქმიანობის შესახებ.

აღნიშნული კანდიდატები დახასიათებულ იქნენ პოზიტიურად და წევრთა მხრიდან მათზე განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

ასოციაციის თავმჯდომარემ - დავით ასათიანმა ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი უახლოეს წარსულში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებულ (რეპრესირებულ) ადვოკატთა რეაბილიტაციის კომისიის წევრებად **დავით ღიბრაძის, ლარისა ლიპარტელიანის, ბესიკ სისვაძის, ამირან გიგუაშვილის, დიმიტრი ხაჩიძის და მაია ბაქრაძის** (ასევე მოადგილის პოზიციაზე), კანდიდატურების დამტკიცების თაობაზე.

წარმოდგენილ კანდიდატებს კენჭი ეყარათ ცალ-ცალკე. ღია და ცალ-ცალკე კენჭისყრის შედეგად, კანდიდატებმა მიიღეს შემდეგი ხმები: დავით ღიბრაძე - მომხრე 8, წინააღმდეგი 0; ლარისა ლიპარტელიანი - მომხრე 8, წინააღმდეგი 0; ბესიკ სისვაძე - მომხრე 8, წინააღმდეგი 0; ამირან გიგუაშვილი - მომხრე 8, წინააღმდეგი 0; დიმიტრი ხაჩიძე - მომხრე 8, წინააღმდეგი 0; და მაია ბაქრაძე (მოადგილე) - მომხრე 8, წინააღმდეგი 0;

**გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს უახლოეს წარსულში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებულ (რეპრესირებულ) ადვოკატთა რეაბილიტაციის კომისიის წევრები: **მაია ბაქრაძე (თავმჯდომარის მოადგილე), დავით ღიბრაძე, ლარისა ლიპარტელიანი, ბესიკ სისვაძე, ამირან გიგუაშვილი და დიმიტრი ხაჩიძე.**

### საკითხი #3

ასოციაციის აღმასრულებელი მდივნის - გიორგი ჭეხანის და ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის - თამარ ხუბულურის მიერ წარმოდგენილ იქნა დებულების პროექტი აღმასრულებელი საბჭოს მიერ მორიგების პროცედურის წარმართვის შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის, მე-7 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის ეფექტიანად ამოქმედების მიზნით.

წევრები დეტალურად გაეცნენ წარმოდგენილი დებულების პროექტს. გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები. ციცილო ცხვედიანის და დათუნა მოღებაძის მიერ გაკეთდა შენიშვნები აღნიშნული დებულების მე-4 მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტთან, მე-5 მუხლთან, მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან, მე-8 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებთან და მე-11 მუხლთან დაკავშირებით, რომელი შენიშვნებიც გაზიარებულ იქნა წევრთა მიერ

დისკუსიის შემდეგ, ღია კენჭისყრაზე დადგა საკითხი “ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მორიგების პროცედურის წარმართვის შესახებ” დებულების პროექტის დამტკიცების თაობაზე სხდომაზე დასახელებული შენიშვნების გათვალისწინებით. ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0), ერთხმად იქნა მიღებული

**გადაწყვეტილება:** „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის, მე-7 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის ეფექტიანად ამოქმედების მიზნით, დამტკიცდეს “აღმასრულებელი

საბჭოს მიერ მორიგების პროცედურის წარმართვის შესახებ” დებულების პროექტი, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით (დანართი #3).

#### **საკითხი #4**

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების თაობაზე; კერძოდ, აღმასრულებელმა მდივანმა განაცხადა, რომ:

1. ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში არსებობს პუნქტი სხვადასხვა ხარჯებისთვის, რომელიც ასევე მოიცავს საწვავის ხარჯებს. ორგანიზაციის მიმდინარე საჭიროებებიდან გამომდინარე, ასოციაციის ლოჯისტიკის მენეჯერს და სხვა თანამშრომლებს უწევთ ხშირი გადაადგილება საკუთარი ტრანსპორტით და ხარჯებით; ამიტომ, მიზანშეწონილია ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ცალკე პუნქტად ჩამოყალიბდეს საწვავის ხარჯი, როგორც ეს განსაზღვრული იყო ასოციაციის წინა წლების ბიუჯეტებით და მისი წინადადება აღნიშნული ხარჯის განისაზღვროს წლიური 6000 (ექვსი ათასი) ლარით, რომლის ათვისება მოხდება მიზანიმართულად, აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში, ასოციაციის საჭიროებებიდან გამომდინარე.

2. ასოციაციაში არსებული დატვირთული სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით, მას საჭიროდ მიაჩნია ფასიანი სტაჟირების სისტემის დანერგვა. ამ ეტაპზე, ასოციაციის საშტატო განრიგში არსებული სასწავლო ცენტრის კოორდინატორის ვაკანტური პოზიციისთვის გათვალისწინებული სახელფასო სარგო იძლევა ერთი სტაჟიორის აყვანის შესაძლებლობას სახელფასო ფონდის გაზრდის გარეშე, ყოველთვიური სარგოთი (300 ლარი - საშემოსავლო გადასახადის გარეშე). იგი შუამდგომლობს საბჭოს წინაშე, ამ მიზნით შევიდეს ცვლილება ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

ღია კენჭისყრაზე დადგა:

1-ლი საკითხი: ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, საწვავის ხარჯის ცალკე პუნქტად ჩამოყალიბების და მისი წლიური ლიმიტის 6000 (ექვსი ათასი) ლარით განსაზღვრის თაობაზე. ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0), ერთხმად იქნა მიღებული

**გადაწყვეტილება:** 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, საწვავის ხარჯი ჩამოყალიბდეს ცალკე პუნქტად და მისი წლიური ლიმიტი განისაზღვროს 6000 (ექვსი ათასი) ლარით. ცვლილება აისახოს ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტში.

მე-2 საკითხი: ერთი ხელფასიანი სტაჟიორის აყვანის მიზნით, ყოველთვიური სახელფასო სარგოთი (300 ლარი - საშემოსავლო გადასახადის გარეშე). ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0), ერთხმად იქნა მიღებული

**გადაწყვეტილება:** ასოციაციაში ერთი ხელფასიანი სტაჟიორის აყვანის მიზნით, 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, ასოციაციის საშტატო განრიგში არსებული სასწავლო ცენტრის კოორდინატორის ვაკანტური პოზიციისთვის გათვალისწინებული სახელფასო სარგოდან გამოიყოს ყოველთვიურად 300 ლარი. ცვლილება აისახოს ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტში.

## საკითხი #5

ირაკლი ყანდაშვილმა წევრებს გააცნო ინიციატივა, საგანმანათლებლო საბჭოს დებულების 1-ლი მუხლის, 1.7 პუნქტის (აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გამოიწვიოს საბჭოს ერთი ან რამდენიმე წერი და აირჩიოს შემცვლელი წევრი) შემდეგი რედაქტირებით ჩამოყალიბების თაობაზე: აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, გამოიწვიოს საბჭოს ერთი ან რამდენიმე წერი დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე და აირჩიოს შემცვლელი წევრი.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე-8, წინააღმდეგი - 0), ერთხმად იქნა მიღებული

**გადაწყვეტილება:** შევიდეს ცვლილება საგანმანათლებლო საბჭოს დებულების 1-ლი მუხლის, 1.7 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, გამოიწვიოს საბჭოს ერთი ან რამდენიმე წევრი დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე და აირჩიოს შემცვლელი წევრი.

## საკითხი #6

გიორგი თევზაძემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2014 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით დამტკიცდა ადვოკატთა ასოციაციის უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის დებულება.

ამავდროულად, არსებობს 2018 წლის 12 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პრო ბონო სერვისების კომიტეტის დებულება; აღნიშნული დებულებების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, იგი წევრებს სთავაზობს წინადადებას, რომ გაუქმდეს 2014 წლის 10 მარტის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის დებულება და 2018 წლის 12 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ პრო ბონო სერვისების კომიტეტის დებულებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ: აღნიშნული დებულების 3.2 პუნქტს (თავისი ამოცანების განსახორციელებლად კომიტეტი) დაემატოს 3.2.5 და 3.2.6 ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

„3.2.5. ხელს უწყობს პრო ბონო სერვისების განხორციელებას;

3.2.6. უზრუნველყოფს სხვა საქმიანობას აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი წესით“.

წევრებმა მოისმინეს გ. თევზაძის წინადადება. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

ღია კენჭისყრაზე დადგა საკითხი, 2014 წლის 10 მარტის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული ადვოკატთა ასოციაციის უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების გაუქმების და 2018 წლის 12 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პრო ბონო სერვისების კომიტეტის დებულებაში სხდომაზე წარმოდგენილი

ცვლილებების შეტანის შესახებ. კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0), ერთხმად იქნა მიღებული

**გადაწყვეტილება:** გაუქმდეს აღმასრულებელი საბჭოს 2014 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით დამტკიცებული ადვოკატთა ასოციაციის უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის დებულება და 2018 წლის 12 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დაამტკიცებულ პრო ბონო სერვისების კომიტეტის დებულების 3.2 პუნქტს დაემატოს 3.2.5 და 3.2.6 ქვეპუნქტები, შემდეგი ფორმულირებით:

„3.2.5. ხელს უწყობს პრო ბონო სერვისების განხორციელებას;

3.2.6. უზრუნველყოფს სხვა საქმიანობას აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი წესით“.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ დავით ბარბაქაძემ შემოიტანა განცხადება ხელახალი განწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0) წევრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული

**გადაწყვეტილება:** „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილილდეს დავით ბარბაქაძის განცხადება ხელახლა განწევრიანების თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მსჯელობის ამონურვის შემდეგ, თავმჯდომარის და წევრების ერთობლივი შეთანხმებით, ჩანიშნულ იქნა მომდევნო სხდომის ჩატარების თარიღი და დრო: 2018 წლის 14 მარტი, 18:30 საათი.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge)

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

**დავით ასათიანი**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე